


618  
1953/2

06036300  
200300000000



დოკება

№ 10 ოქტომბერი 1953



თბილისი. მთავარსოფლმომარაგების ბაზა. კარტოფილ-სარეცხი  
ახალი მანქანების ჩატვირთვა აეტომანქანაში საქართველოს რაიო-  
ნებისათვის.

ფოტო ვლ. გინზგუგისაძე

უ რ ა ლ თ ვ ი უ რ ი ს ა ზ რ ა დ რ ა გ ა რ ი ს - ვ რ ლ ი გ ი უ რ ი ს დ ა ს ა ლ ი გ ი რ ა გ ა რ ი ს - ს ა მ ხ ა ვ ა რ ი ს კ ა რ ი ს ა ლ ი გ ი რ ა გ ა რ ი ს .

ფოტო  
გ. ჯეორგიევსა



53 26

გ ა რ ე კ ა ნ ი ს  
პ ი რ გ ე ლ გ ვ ე რ დ-  
ჟ ე : დიღმის მევენა-  
სება-მეხილეობის  
სამტრესტის საბჭოთა  
მეურნეობაში.  
მკრეფავი  
ციალა ბასელეიშვილი

ფერადი ფოტო  
გ. რ ა ზ მ ა ძ ი ს ა



ფოტო რ. ა ქ რ ი ჭ ი ლ ი ს ა

**რ**ილის 7 საათია. თბილისის გაგზლის მოედანზე ავტობუსი № 21 მგზავრებს ელოდება. მანქანის შესასვლელ კარებთან მიმაგრებულ ფირფიტას აწერია: „თბილისი — დიღმის საპონთა მეურნეობა“.

მალე ავტომანქანა მგზავრებით იცხება და რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე საქართველოს სამხედრო გზაზე მიშედრო. ავტობუსი თითოს გასცილდა ქალაქში, მაგრამ ქალაქი „არ ილევა“, აი გზის მარჯვენა მხარეზე ხეებს შორის მოჩანს ბაქტერიოფაგის



ავტობუს-№ 21 დიღმის საპონთა მეურნეობის შესასვლელთან.



საქაშრობის მოსკოვის განყოფილების წარმომაზე ნები პეტრე თათარშვილი (მარცხნევ) იბარებს დამზადებულ ყურძენს მეურნეობის პირველ უბნის აგრძელების შესასვლელთან.

დიღმის მუნიციპალიტეტის „მთავარი ქორანი“.

### ე. მარიამიშვილი

ინსტიტუტის ლამაზი შენობები. მარცხნივ — სოფლის მეურნეობის სამინისტროს საცდელი სადგური, ცოტას გასცედი და თვალს მოშკრავ სატრაქტორო მოტორთა ქარხანას, იქვეა სოფლის მექანიზაციის ტექნიკუმი, (ამ ტექნიკუმს ახლა სასწავლო წლის დასასრულს სპეციალისტების ბირველი გამოშვება ეწეობა). შემდეგ ავტობუსი გვერდით ჩაუკრისტის გამწვანების ტრენის სანერგე ბაზას და იმ ადგილას, სადაც გზის ნაპირზე აღმართულ კილომეტრების მაჩვენებელ ფარს „14“ აწერია, საბოლოოდ გაჩერდება. მარჯვნივ, რკინის კარებთან დიდი ასოციაცია გამოყენილია: „დიღმის საბოლოო მეურნეობა“. ალაყაფის კარების მიღმა კი მოჩანს მაღალი ალენის ხეებით დაჩრდილული გრძელი და ფართო ასფალტირებული გზა.

სამხედრო გზის მარცხნივ პატარა, შემაღლებული ბეჭობია. მის კალთებზე ვენახებია გაშენებული. თუ იქ ახვალთ და გადმოხდავთ დიღმის ველს, ალის ხეივანის ბოლოს, ასფალტირებული გზის ორივე მხარეზე დაინანავთ ლამაზ, ორსართულიან საცხოვრებელ შენობებს. ამ სახლებში ცხოვრობს დიღმის მეურნეობის 500-შემდეგობრივი მოსამსახურე. თუ უფრო მაღლა ახვალთ და ბეჭების თავზე მოექცევთ, თვალშინ გადაიშლება დიღმის ველის მოვლით სილამაზე; აი მეურნეობის უბნები: ბირველი, მეორე, მესამე, შპალერზე გაკრული ვენახის ბლანტაციები და ატმის ბალებით დაფარულ მიწა. საცხოვრებელ სახლებს უკან მოჩანს მეურნეობის აზალი კლუბი — მუშები კედლებს ლესავენ გარედან. კლუბი მაღლე შევა ექვება და ცალკეული მოვლით საცხოვრებელი ასალ შენობაა. აქ წელს — 1 სექტემბერი — მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა 65 ბავშვი მიღიდა სასწავლებლად, სკოლა ჯუსტად ორი უეხის ნაბიჯზე აქვთ მოსწავლებს. სკოლის იქთ კეთილშობით 12 ადგილიანი გარაურა, შემდეგ საწყობები, მესაქონლეობის ფერმა, ფურნე, აბანო, სა-

ბავშვობ ბალი, ბაგა და სასაკარის სადგური. აი ამ „პატარა ქალაქისა“ და დიდი მეურნეობის დაწესებულებანი. შორს, ქარსაცავ ზოლებს შორის, მოჩანს შუა საუკუნეების დროინდელი ეკლესია. ეს ერთადერთი ნაშთია იმის მოწმე, რომ დიღმის ველი ძეველი დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა. შემოსულმა მტერმა გადაწვა სოფელი, აჩერა ტყე, გაბარტაზდა, გადახმა დიღმის მინდორი და მოსახლეობაც ამოწყდა. ახეული წლების განმავლობაში უკაცრიელი იყო ველი. ახეული წლების განმავლობაში არავითარ ნაყოფს არ აძლევდა ადამიანს დიღმის მინდორი.

მაგრამ აქ მოვიდნენ საბჭოთა აღმიანები, მოვიდნენ საბოლოო აგრონომები და დიღმის უნაყოფო ველი წალკოტად აქციეს. უბირველეს უკვლისა, გაშენდა ქარხაცავი ზოლები, იმდენ რაოდნობისა და იხეთი განლაგებით, რომ მთ შორის გაშენებულ ვენახებს კარგად ეხარა. მაგრამ აგრონომები მთლიანად გერ დანდენ ქარხაცავებს და ვენახის რიგები ჩვეულებრივდ 2,5 მეტრის დაშორებით კი არ გაშენეს, არმედ — 1,5 მეტრით. ახეთი განლაგებით თვით ვაზები იცავენ ერთმანეთს. დიღმის მეურნეობაში ვენახი გაშენებულია ამ ადგილების თვის დამახასიათებელი სამხრეთის ქარის მიმართულებით, ასე რომ ეს ღონისძიებაც ახუსტებს ქარის დამღუბველ გავლენას.

საბჭოთა სპეციალისტებმა ააყვავეს დიღმის უნაყოფო ველი. წელს ეს ვენახი უკვე მეტეთ მოსახლეობა აქ გაშენებულია განსაკუთრებით სუფრის ჯიშები: განუჯრი, შასტრა, მუხატი, ქაშ-მიში, ჩინური და საადრო ყურძენი კაბიორილი და სალილი, რომლებიც ივლისში შემოდის. წელს დამტელები 8000 ცენტერ ყურძენს ელიან.

— შარშან შუა აგვისტოში დაწყო ყურძენის კრეფა, წელს რატომ დაგვიანდა? — ვეკითხებით მეურნეობის ძირებორის დავით სანაძეს.

— ადგილი ასახსრებია — გვიპასუხებს იგი — წელს იმდენი ასხია ვაზებს, რომ ფეხებმა ვერ მოასწრო შაქრის მიწოდება, ამიტომ დავუცადეთ

ყარძის უხიი მოსაგალი დიღმის საბჭოთა მეურნეობაში.



# ელსალგური კაბალის ხელმაში

პატარა, მაგრამ დაუდეგა-  
რი მდინარე კაბალი აქაფებული  
მორბის მაღალი მთებიდან. თით-  
ქოს ევიწროება ხეობაო, თავგა-  
მოდებით ეხეთქება უზარმაზარ  
კლდებს და სათავიდან წამო-  
დებულ ქვებსა და ღორღს ზედ  
აფშენის.

მაგრამ იმ ადგილას, სადაც  
ხეობის კედლები ძაბრის პი-  
რიგით ფართოვდება, მდინარე

წყნარდება, და ნელა განაგრ-  
ძობს გზას.

სწორედ ეს ადგილი ამოირ-  
ჩიეს ლაგოდეხის რაიონის კოლ-  
მეურნეებმა რკინაბეტონის კაშ-  
ხალის ასაგებად. კვირა დღეებში  
ასობით ხალხი მოდიოდა სხვა-  
დასხვა სოფლებიდან ელექტრო-  
სადგურის სამშენებლო მოედნებ-  
ზე სამუშაოდ. ადამიანთა შრო-  
მის შესამსუბუქებლად მთავრო-

ბამ სხვადასხვა სახის ტექნიკუ-  
რი მოწყობილობანი გაუგზავნა  
მშენებლებს. თავგამოდებით მუ-  
შაობდნენ კოლმეურნეები, გაზაფ-  
ხულისა და შემოდგომის წყალ-  
დიდობის დროს მათ რამდენ-  
ჯერმე მოუხდათ სტიქიასთან შე-  
ბრძოლება. და ახლა კაბალის-  
ხევში ტყით შეფენილი მთების  
ფონზე მომხიბვლელად გამოიყუ-  
რება საკოლმეურნეო ჰიდროელ-

სადგურის ლამაზი შენობა. ლა-  
გოდეხის რაიონის მრავალ სო-  
ფელში ბირველად აითო ილიჩის  
ნათურები. კაბალპესის ამუშა-  
ვებით რესპუბლიკაში შეიქმნა  
ბირველი ადგილობრივი, სოფ-  
ლის ენერგეტიკული სისტემა.

ახლი ელსალგური, ალაზან-  
პესთან ერთად, ელექტროენერ-  
გიით მოამარავებს აღმოსავლეთ  
საქართველოს ექვს რაიონს.

სრულ დამწიფებას, რთველი გვიან დაფიქვეთ, მაგ-  
რამ სამაგიეროდ ორმაგი მოხავლა.

რთველის დროს ნამდვილი შრომის ზემინ სუ-  
ფებს დიღმის მეურნეობაში. აი მოწინავე შუშები  
ვანო გაბორე, ილო ლაზუაშვილი, იოსებ გაბორე  
და სხვ. უკვე მოკრეფილ უზრუნველ ფუთავენ ყუ-  
თებში, სპეციალურ ხაცრებში ალაგებენ და  
გზის პირას ჩამწერივებულ ავტომანქანაზე ტვირ-  
თავენ. ასევე იტვირთება მწიფე ატაში, გარგარი,

ქლიავი. დაიძრება მოსავლით დატვირთული აფტო-  
მანქანების ქარავანი დედაქალაქისაკენ და... 20 წუ-  
თის შემდეგ თბილისის თითქმის ყველა მაღაზიაში,  
რესტორანში თუ ფარდულში იყიდება დიღმის  
ველზე მოკრეფილი ხილი.

20 წუთ ვენახიდან მომხმარებლებმდე!  
ეს მართლაც რომ მეტად საჭირო და მნიშვნე-  
ლოვანი მეურნეობაა დიდი ქალაქის მოსახლეობის  
სათვის.

ვენახის მოწყვა პროფესორ ალ. დიდებულიძის „ხელოვნური წიგნის“ მეთოდთ.



ატგის კრეფა. წინა პლანზე სტანდარტული მუშა  
ნინო ლაზუაშეგილი.











# ჩესტეზონი დუალეჟათან

1933 წელს დაიწყო მუშაობა ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანაში.

ქარხნის კოლექტივით სულ მოკლე დროში ისე დაუუცლა ფერომარგანეცის ელექტროდნობის სამებე, რომ უკვე სამი წლის შემდეგ დაიწყო სხვა სახის ფეროშენადნობა — ასე რომ ფერომარგანეცის ქარხანა გადაიცა ფეროშენადნობთა ქარხანად. ქარხნის ამუშავების მეათე წელს ათვისებულ იქნა 15 სხვადასხვა სახის შენადნობი. ახლა ახორციმენტების მიხედვით ეს ქარხანა კავშირის ფეროშენადნობთა ქარხნებს შორის პირველ ადგილზეა.

ფოტო № 1 — წარმატებით ეჯიბრებიან ერთმანეთს № 6 ღუმელის ცვლის ბრიგადები, რომლებიც გადამეტებით ასრულებენ გეგმას და უშვებენ მხოლოდ შალალი ხარისხის პროცესს.

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): № 6 ღუმელის I ბრიგადის ბრიგადირი ჭიბაშვილი აბარებს ცვლას № 3 ბრიგადის ბრიგადირს გრიგოლ ნანიტაშვილს.

ფოტო № 2 — კომიკებირული ელექტრომდნობელი ღუმელის ბრიგადირი ივანე აბესაძე მეორე წელია სოცშეჯიპრებაშია ჩაბმული ზაპოროევის ფეროშენადნობთა ქარხნის სახელგანთქმულ ნ. ბელოუსოვის ბრიგადასთან.

3.



2.



ფოტო 3. ჩესტეზონის მაყურებელთა დარბაზი, სპორტურბაზი, თვითმოქმედ წრეებისა და საბავშვო წრეების ხამუშაოთახები. ამ წრეებში ჩაბმულია 300-დე კაცი.

სურათზე: სახვითი ხელოვნების წრის მეცადინეობაზე.

ფოტო № 4 — ქარხნის ახალგაზრდობის ინიციატივით სპორტული ქალაქის ტერიტორიაზე წელს მოწყობილ იქნა წყალჯიბირდობის აუზი 5 მეტრიანი კოშკით.

აუზთან მოწყობილია: საშაპო კაბინები, სოლიარიუმი საწოლებით, და ბავილონი სამყითხველოსა და სამაგიდო სათამაშოებისათვეს.

სურათზე: ქარხნის წყალჯიბირდობის აუზი.

4.



ფოტო 3. ჩესტეზონის მაყურებელთა დარბაზი, სპორტურბაზი, თვითმოქმედ წრეებისა და საბავშვო წრეების ხამუშაოთახები. ამ წრეებში ჩაბმულია 300-დე კაცი.

# 06820160 პოეზიიდან

ხონ ქიში

## სონები ღირებაზე

დიდება, როგორც ახალგაზრდა თავნება ქალი  
გაურბის ყველა მუხლმოდრეკილს და ხელებგაწვდილს,  
მაგრამ ნებდება რომელიმე უდარდელ ყმაწვილს  
გულგრილისადმი სიყვარულით უგონოდ მთვრალი.

იგი ბოშაა — და მათ არც კი ალაპარაკებს,  
ვინც უიმისოდ ჯავრით კვდება, სევდით იგსება;  
კელუცს ჰერია: ვინც მის გამო ამპობს არაკებს,  
აბუჩად იგდებს და ამცირებს იმის ღირსებას.

ბოშა ქალია, შორს, ნილოსის პირად შობილი,  
მიჯნურის გულში სულ ადვილად აჩენს ჭრილობას.  
თქვენ, პოეტებო, ვინც ტრფილით ხართ შეპყრობილი,  
თქვენც გულცივობით უპასუხეთ მის გულგრილობას.

გამოეთხოვთ, სამუდამოდ დასთმეთ დიდება  
და ისიც ალბათ სწორედ გულცივს გაეკიდება.

## კარი ღი ჭარიშინა

მიწის ცხოველი პოეზია იქნება მარად:  
როცა ჩიტები დათენთილნი დღის მყუდროებით  
თავს იფარავენ სიცხისაგან ხშირი შტოებით,  
მოთიბულ მინდორს გაბედულად ერთი ხმა ფარავს.

ეს კალია: დღის სიმშეიდეს არ აგდებს არად,  
ზაფხულის ზეიმს მისცემია განმარტოებით;  
ჭრიშინებს მარტო; შეჩერდება ზოგჯერ დროებით  
და ბალახებში მიმალული ისვენებს წყნარად.

მიწის ცხოველი პოეზია აროდეს წყდება:  
ზამთრის საღამოს, როს ბუხრის წინ ყველანი ვდუმვართ,  
ვუსმენთ ჭრიშინას, ზაფხულიდან შერჩენილ სტუმარს;  
სახლის სითბოში ის ხმამაღლა გამოთქვამს შებას,

და თბილი ბუხართან თავი ისე დაუმალია,  
რომ გვეჩენება: ბალახებში მღერის კალია.

თარგმანი თეგლისურიდან

გ. გარეჩილაძისა



ნიადაგის მელიორაციის განყოფალების გამგე, სტალინური პრემიის ლურჯის, პროფესორი მ. დარასელია (მარჯვენა) ტიმირაზევის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის V კურსის სტუდენტი რ. ფარცხავასთან ერთად იღებს ფალტილებული წყლის ნიმუშს.

## ანასეულის ინსტიტუტი

1930 წელს სოფელ ანასეულში (მახარაძის რაიონი) დაარსდა ჩაისა და სუბტროპაკული კულტურის სამეცნიერო კვლევითი საკუვშირო ინსტიტუტი. ინსტიტუტის მიზანია შესატაროს სუბტროპაკულია კულტურობის გავრთარების საკითხები. ამ ათასის შესატარულებლად ინსტიტუტმა და-აარსა ფილიალებს სუბტროპაკულია ჩაქვემდებრი და გრალ-ხიდაში. თვით ინსტიტუტში ჩამოყალიბებულია განყოფალებები—სულექციის, ახლი რაიონების ათვეცების, აგროტექნიკის, ქიმიკატების, მექანიზაციის, რიადგის ფაზიოლოგიისა, მელიორაციისა და სხვ.

ამ სამეცნიერო დამუშავებულების ნაყოფეური მუშაობის შეზეად ჩაის კულტურულ დანერგალია ისეთ რაიონებში რა 15-20 წლის წილად ინსტიტუტის მიერთება არ შეიძლებოდა: თერჯოლის, საჩხერის, ზესტაფიონის, და გიათვრის რაიონებით შევ ინსტიტუტში გავრცელდებოდა ჩამოყალიბია დასურდნი პუნქტი ამინტერრაბატიში სუბტროპაკული კულტურების დანერგვის შესატარებლობის შესატარებად.

უკანასკნელ წელში ამინტერრაბატის კოლეგიურნობებში დაიწყო ჩაის საწარმო მოწევება.

იგივე ინსტიტუტი უშევდა დაბმარებას ჩაის კულტურის დანერგვის კრასინდარის მხარეში.

ინსტიტუტმა დამუშავა აგრო-ტექნიკური ღონისძიებები ნიადაგის მცენარის მოკლის გასაუსახსებლად, გამაც საგრძნობლად გადასახსრობის ჩაის პლანტაციების მოსავალი.

ინსტიტუტის პლანტაციებზე მთელ რიგ ღონისძიებათა კომპლექსი ჩატარების შედეგად, ცალკეულ ნაკვთობი ჩაის ფიოლის მოსავალი ჰეჭტარზე 10-11 ათას კილოგრამს უდრის.

ინსტიტუტის მიერ დამუშავებულია ჩაის ბუჩქების სხელი-სა და ჩაის კრეფას სისტემა, რაც უზრუნველყოფაზე კრეფას მთელი სეზონის გამაცალობაში ჩაის ფოთლის მოსავლის 15-18%-ით გადაიდება.

ინსტიტუტის კრეფადის ფილიალი ამუშავებს ღონისძიებებს ნაკაბარების მიწების ჩაისათვალის გამოსაყენებლად.

ინსტიტუტის მეტ მეტად საინტერესო მუშაობაა ჩატარებული ლინინს გაბობისათვან (ავადმყოფობა ჭამალ-სუკრა) საბრძოლებულად.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტ-დიპლამატი კარსულჭავაიას უწევს მცენარეთა დაცვის განყოფილების ლაბორატორიაში სასოფლო-სამეურნეო მცენარებათა გარიდგინი, ფაზიანათალზე ბ. კ. დაწელია.

ფაზო ვლ. გრიშაშვილისა



# ჩ ვ ე ნ ი ს ა ს უ კ ე ნ ი ს

ნაწყვეტი პოემიდან „მოგზაურობა უნგრეთში“

ავტორდით პრაღას  
და მივტრინავთ ბუდაპეშტისკენ.

კარგია, იყო ფრინველი  
ან ღრუბელი თუნდაც,  
რომ მიაპობდე სივრცეს მტრედისფერს  
და ლავაგარდებში სუნთქავდე მუდამ.  
მაგრამ რომ გავჩნდი ქვეყნაზე ადამიანად,  
არა ნაკლებ ვარ კმაყილი და ბედნიერი.  
და ისე ძლიერ მიყვარს ჩვენი მიწა მზიანი,  
რომ სიყვარული

არსად თქმულა  
უფრო ძლიერი.

იქნება გემის  
მოჯირზე როცა ვეყრდნობი,  
ან მიწას დავმზერ  
თვითმფრინავის სარკმელს მიმდგარი,  
დედამიწასთან განშორების ფიქრით შეპყრობილ  
დამიპყრობს სევდა სწორედ იმგვარი,  
როგორიც მაშინ,  
როცა შენი პატარა ხელი  
გასხლტა ჩემს ხელში;  
სდუმდი, მაგრამ რამდენს ამბობდი.

გახსოვს,  
ადრიან დილით იყო, მეუღლევ ჩემო,  
შორს დარჩა სახლი,  
შენ და ლურჯი ზეცა სტამბოლის.  
პირველი თოვლი რომ იხილო,  
გახვალ სოფლიდან,  
მინდგრებზე ადრე ხედავ — ფიქტე როგორ მოფრინავს.  
ზაფხულის ღამით ალებ სარკმელს, როდესაც შუოთავ  
და ბინდზე ადრე გარსკვლავები ავსებენ ოთახს.  
ტექ-ველზე ადრე ზაფხულობით სიმწვანეს ამჩნევ,  
ხედავ, ბუნებამ როგორ უცებ იცვალა სახე.

ასე სწორედ ბუდაპეშტშიც,  
აქ ხედავ ბავშვებს  
განამდე, სანაზ შეხედავ სახლებს.  
ცხელი ჰაერი  
ღუმელიდან თითქოს იშლება.  
ქუჩას ხმაურით,  
ნაკადულის აგანგაშებით,  
მზით შეფერილინი,  
წვიგშიშვლები,  
— მეღავებშიშვლები,  
ეფინებიან უცებ ბავშვები.  
ბუდაპეშტია  
ბუმბერაზი ვაშლის ხე თითქოს,  
თავს რომ იწონებს წითელ ვაშლებით.

ძვირფას!  
ჩვილი დაგიტოვე მემედი ჩემი,  
სამი თვეს თითქოს იღმობდა, იწყებდა თამაშე.  
იქნება ახლა ლაპარაკობს ბავშვური ენით?

შენ შეასწავლე, როგორ უნდა გამოთქვას „მამა“?

მე იმავე დღეს პიონერთა ბანაკს ვეწვიო.  
გნახე ბავშვები.

მათ ლამაზ გზას ვინ გადუკეტავს?

შვილებს მუშების,  
გლეხების  
და ინტელიგენციის,  
ნამდვილი ხალხის,

ვინც უნგრეთი შექმნა უნგრეთად.

მოვედით. ვხედავთ:

გაზაფხულის სიმწვანე ირგვლივ,  
თეთრი სახლები  
და შზით გამთბარ საწოლთა რიგი.

ძვირფასი!  
მინდა ერთი რამ გითხა,

ეს მოგონილი ნუ ვეგონება,  
იქნება მითხრა: „იკვეხნიო“, —

— არა სრულიად.

უცებ სჩვევიათ ბავშვებს ჩემთან დამეგობრება,  
თითქოს მთელი გზა ცხოვრებაში ჩემთან უფლიათ.  
ო, ის ბავშვები მაგონებებს სწორედ იმ ჩიტებს,  
თავს რომ დამზრუნდნენ, როცა ციხის სარემელთან ვიჯე,  
და დამახოდნენ, დამახოდნენ:  
— გაზაფხულია!

შევედი მათთან.  
შემომზერტყენ ერთი ამბითა,  
მკითხეს —  
ბარათს ხომ არ ვაგზავნი სადმე საჩქაროდ?

ფოსტა.

ბავშვები

მოლარედ

თუ ტელეგრაფისტად, —  
ბიუროკრატიზმს ყოველნაირს მტრობენ აშკარად.  
მოსკოვში,

ეროლს,

დადემის ვაჟს ღია ბარათი  
დავუწერე, თან გაოცებას ვეღარ ვფარავდი.

ძვირფასი

დამით, როცა კარებს მაგრად ჩაკეტავ,  
შენ რაღიაში მოსკოვის ხმებს, ვიცი, რომ ეძებ.  
ვინ იცის შენ და ასოთამწყობ შაბანის დედა  
იქნებ ამწუთშიც უსმენდეთ ერდემს.

უკაცურ უბნებს კი

დაპყურებს გარსკვლავთა წყება,  
ისმის ჭრიშინი კალიების,  
დარაჯთა სტვენა,  
და განუწყვეტლივ რახმი - ბეის ძაღლების ყეფა  
აყრუებს სმენას.

ბანაკში იყენენ ბავშვები და მათი სტუმრებიც —  
საბერძნეთისა და კორეის ნორჩი იბლები.

ფხენიანელი ბიჭი კრძალვით შემომყურებდა,

ვგრძნობდი:

სურვილი პქონდა ჩემთან დამეგობრების.  
იქნება მოპქლა ჩეკენურმა იმ ბიჭის მამა,  
ჩაბურის სოფლის მევიდრმა, ვინმე სულეიმანმა.  
სახლში ხუთი წლის, უასტრონო მისი ჰასანი

მშიერ-ტიტველი ელოდება  
სიკვდილს ნაადრევს;

ის, ჯოხებივით წვრილ ფეხებზე, დადის ლასლასით  
ციებისაგან გასივებულ მუცელს დაათრევს.  
შემოახვიეს სულეიმანს ფეხსახვევები,  
ამერიკული მიაჩეჩს ხელში შაშხანა.

შვიდი ზვიდის იქით

გააგზავნეს საომრად იგი,  
რომ ყოფილიყო არამზადა, მკვლელი აშკარა...

ბერძნის გოგონამ

ზეთის ხილის ნორჩი ტოტივით  
ჟელზე ხელები შემომხვია, მითხრა ტიტინით:  
ძიაგ, იქ, ჩვენთან საბერძნეთში,  
თქვენს თურქეთშიაც,  
როდის იქნება ასე, როგორც  
აქ, უნგრეთშია?

როდის მოვიწვევთ უნგრელ ბავშვებს ჩვენთან  
სტუმრებად?

რომ მეგობრებად ვიცხოვროთ მუდამ?

ზახარიადის,  
გესმის იგი რას მეუბნება?

ჩვენი ბავშვები ჩქარობენ, ჩვენც  
ვიჩქაროთ უნდა.




მაშინ კი, როცა წამომიქციეს  
და მოხუცებულს როზვი დამიკრეს,—  
თვალთ დამიბრელდა, ამენთო გული...




სახალხო მხატვარმა უჩა ჭავაჩიძემ დასურათა ილია  
გაფეხაძის ცნობილი ნაწარმოები „კაკო უაჩალი“, რომელსაც  
ცალკე წიგნად უშევებს გამომცემლობა „საბლიუტგამი“.   
ჩანართ გვერდებზე — „კაკო უაჩალის“ ილუსტრაციები.

ბავშვიაც კი იცის ვინ არის „კაკო“!



მე მამა მუვაწდა მხერ კაცი, მარჯვე,  
დაუღლელი და ბეჯითი, გამრჯვე.



... ზაქრო მწუხარედ  
გირევე დაეცა დადუძებულია;  
დიღხანსა ევდო უგრე მდუმარედ  
გულში ვაების ცეცხლმოდებულია.  
ამ საწყალს შვილზედ კაკოც შეწუბლა,  
ორიც წაიღო ერთმა ნალველმა.






მაშინ თორმეტის წლისა ვიყაფი,  
როცა ბატონში სახლს მომაშორა.  
წამსვე ძრობაში მე მიერეს თავი,  
ჩემს სახლ-კარილან გამაგდეს შორა.



საქართველო

# ჩემი მუსიკი

და ვიდეო ციფრით ჩერიშვილი




ცოტო ო.ო. თურნირის და ვლ. გილებურგისა

**ა**სუბუქად ნასროლი ბურთი ფარს მოხდა, რეინის მრგვალ სალტეზე გაგორდა და... ისევ ქვევითებენ დაუშვა. ხუთი მოთამაშე ერთდროულად მოწყდა ადგილიდან, თვითეულის ხელმა თავისებური, გამიზნული მოძრაობა უესრულა ჰაერში და მხოლოდ ერთმა კალათბურთელმა მიაღწია მიზანს, მისი პარტნიორი უკვე მოწნააღმდეგის ფარისექნ მიპქროდა. იგი ცენტრის ხაზთან შედგა, თავისუფალ ადგილს დაეჭიბდა, რომ ბურთი გადაეწყდებინა და სწორედ ამ დროს მოიკლა მისა ყურადღება ძალიმა ტრიბუნებიდან:

— ესროლე, კალათს ესროლე!! — ყეროდნენ ადგილებიდან წამომხტარი მაყურებლები. ასე აფრთხილებენ და „ეხმარებიან“ ისინი მოთამაშებს, როდესაც თამაშის დამთავრებას სეკუნდებიღა აკლია, როდესაც საათისკენ გახედვის დროც აღარ რჩება...

ნოდარ ჯორჯიევის მთაქვს ბურთი მოხვდის „ცდა“-ს ფარისექნ. წამიც და ბურთი ბადეში იქნა მოთავსებული.






მძლავრად ნასროლი ბურთი ჰაერში ავართდა, მოედნის ნახევარს გადაუარა და უხმოდ ჩასრიალდა კალათში. ისე ახმაურდა ტრიბუნები, რომ თამაშის დამთავრების მაუწყებელი ზარის ხმა

აღარც კი ისმოდა. უკანასკნელ წამში ნასროლმა ბურთმა გადაწყვიტა თამაშის ბედი.

ასე დაძაბულად მიმდინარეობდა შეხვედრები საბჭოთა კავშირის კალა-

შეჯიბრების პირველი დღე. დიდი ხნის ძებნის შემთევე კინომერატორებმა მონახეს „წერტილი“. ასედან კარგად მოჩანს მთელი მოედანი.





თბილისის „დინამოელებმა აიღეს უკანასკნელი ერთშუთიანი შესვენება. თანამდებობის სათანხ დარჩა 3 წუთი. რადაც არ უნდა დაჯდეს საჭიროა გამარჯვების შენარჩუნება.

ბურთის XX ჩემპიონატზე. 7 შეხვედრა და დამთაგრძა ერთი ქულის განსხვავებით, 14 შეხვედრა — 2 ქულის განსხვავებით, ხოლო 27 — 3-დან 5-მდე ქულის განსხვავებით. სულ ჩატარდა 299 შეხვედრა. ამ დაძაბულ ბრძოლებში პირველი ადგილი ქალთა შორის მოიპოვა მოსკოვის „დინამოს“ კოლექტივმა, ვაკთა შორის კი დამსახურე-

წითელი მაისურები და ოქროს მედლები. დანარჩენი საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ქალთა შორის მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი, მესამეზე — ლენინგრადის „ისკრა“. ვაჟებში ვერცხლის მედლები მოიპოვა გასული წლის ჩემპიონმა მოსკოვის ცდასა-გუნდმა, რომელმაც ერთადერთ წაგე-




მასაქოვის „დინამოს“ კალათბურთელები, ტუში დები ლ. და ნ. ერთომინები. ისინი ძალზე გვანან ერთმანეთს, როგორც გარეგნულად ასევი კარგი თამაშით.

შეჯიბრებათა დაშვების წინ კოველდელე თავიდან იხაზებოდა მოედნები. ბულად გაიმარჯვეს თბილისის დინამოელებმა. ეს ორივე გუნდი უკანასკნელად 1950 წელს იყვნენ საპტოსა კავშირის ჩემპიონები. ასე რომ ორი წლის „შესვენების“ შემდეგ მთ ისევ მოიპოვეს ჩემპიონის საატიო წოდება,

„ჩემია ექიმო“, — ფიქრობს იგი. გული დარ უთმენს, სურს ისევ მალე ჩემაბას თამაშში.



დამთავრეს ჩემპიონატი წაუგებლად. თბილისელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიევია — ეს ორი საერთაშორისო კლასის მოთამაშე. ხშირად მათი მოფირებული და ზუსტი თამაშით აღწევდნენ თბილისის „დინამოელები“ ძნელ გამარჯვებას. ახალგაზრდა კალათბურთელების ვ. უღენტის, გ. აბაშიძის, ლ. ინწყირველის, ა. კილაძის,



თამაშის ერთ-ერთი მომენტი.



ერევნის „ისკრის“ კალათბურთელები ჩემპიონობას ულოცავენ თბილისელებს.

თანამდებობს სიგელს და ჩემპიონის წითელ მაისურს.




















გვის ჩასვლა ზღვაზე.

ფოტოეტიუდი დ. კანდელაკისა

# ზემოქმედი

თამაზ ჭილაძე

წასულ დღეს, როგორც ნიგარას ვაღებ  
და შიგ ჩარჩენილ მარგალიტს ვეძებ;  
გხედავ: ზღვას,  
გემებს,  
შრიალა ბალებს  
და შელამების მზის სხივებს მთებზე.  
საღამო მოდის ზღვაზე გემივით,  
მუქი ხავერდის აფრები მოაქვს,  
ზღვაა ზურმუხტით შემოფერილი,  
— ძვირფასო,  
ნახე რა საღამოა!..  
და მაგნოლიებს მკლავებგადაშლილთ  
თეთრი ყვავილის ნათელი ახლაგთ,

გხედავ —  
გოგონა ზღვისფერ კაბაში  
მოპგავს ხშელეთზე აგარდნილ ტალღას.  
რა ლამაზია მზე გადახრილი,  
ზვირთზე გარდისფერ სხივებს ასვენებს,  
დგახარ,  
შრიალებ ზღვასთან ბალივით  
და გაზაფხულის დღეებს მახხენებ.  
დასალიერი ღვივის, ელვარებს,  
შორს წყალს გაჰკვრია ცისფერი ნისლი,  
ვიცით —  
სიცოცხლე ზღვაა მღელვარე,  
ჩვენ ერთი ტალღა გიქნებით მისი...



11/1/57  
1957 3 11

საქართველო  
გიგანტი მეცნიერება



საბჭოთა მეურნეობა „ბიჭვინთა“—ნახირი წყლის პირას.

ფოტო გ. გიგანტი მეცნიერება